



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000094195604618

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 42

05 / დეკემბერი / 2018 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ საბუეში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ფართობი 3673კვ.მ, ს/კ 50.13.31.063) პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის (იჯარის) უფლებით გაცემის თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის „მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს სოფელ საბუეში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ფართობი 3673კვ.მ, ს/კ 50.13.31.063) ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვა.
2. დამტკიცდეს ელ. აუქციონის წესით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გასაცემი, სოფელ საბუეში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის:
 - სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10% ის - 255.0 (ორას ორმოცდახუთმეტი) ლარის ოდენობით.
 - ორი წლის განმავლობაში განხორციელდეს 11000 ლარის ინვესტიცია რეკრეაციული ზონისა და ტბის მოსაწყობად.
 - სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 10 (ათი) წელი.
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელემტრონულად



თამარ ყვინიშვილი